

დამატებითი პირობები

ევროპის საინვესტიციო ბანკის ფონდების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული სესხი.

განსაზღვრებანი

„კონტრაქტი“ ნიშნავს ბანკსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის 2022 წლის 29 დეკემბერს დადებულ ფინანსურ ხელშეკრულებას. „EIB-ის განცხადება გარემოსა და სოციალური პრინციპებისა და სტანდარტების შესახებ“ ნიშნავს განცხადებას, რომელიც გამოქვეყნებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე და რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს, რომლებსაც ბანკი მოითხოვს იმ პროექტების მიმართ, რომლებსაც ის აფინანსებს; ასევე ასახავს სხვადასხვა მხარის პასუხისმგებლობას.

„გარემო“ ნიშნავს შემდეგს, რამდენადაც ისინი ეხება ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ კეთილდღეობას:

- (a) ფლორა და ფაუნა;
- (b) ნიადაგი, წყალი, ჰაერი, კლიმატი და ლანდშაფტი;
- (c) კულტურული მემკვიდრეობა; და
- (d) განაშენიანებული გარემო,

რაც ასევე მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შრომის უსაფრთხოებას და საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

„გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები“ ნიშნავს შემდეგს:

- (a) გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და სოციალური სამართალი, რომელიც ვრცელდება პროექტზე ან კლიენტზე; და
- (b) EIB -ის განცხადება გარემოსდაცვით და სოციალურ პრინციპებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით;
- (c) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევა.

„გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“ ნიშნავს:

- (a) ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის ევროკავშირის კანონმდებლობის პრინციპებსა და სტანდარტებს;
- (b) საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასა და რეგულაციებს; და
- (c) საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებს, რომლებიც ხელმოწერილია და რატიფიცირებულია, ან სხვა მხრივ ვრცელდება საქართველოზე და სავალდებულოდ შესასრულებელია საქართველოსთვის,

რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს გარემოს და ბუნებრივი პირობების შენარჩუნება, დაცვა ან გაუმჯობესება.

„გარემოსდაცვითი ან სოციალური ნებართვა“ ნიშნავს ნებისმიერ ნებართვას, ლიცენზიას, უფლებას, თანხმობას ან სხვა ნებართვას, რომელიც მოითხოვება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ან სოციალური კანონმდებლობის შესაბამისად პროექტის მშენებლობასთან ან ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

„გამორიცხვის პოლიტიკა“ ნიშნავს ევროპის საინვესტიციო ბანკის „გამორიცხვის პოლიტიკას“, რომელიც გამოქვეყნებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის ვებგვერდზე. „გამორიცხვის პოლიტიკა“: არის დადასტურება იმისა, რომ პირი არ ექვემდებარება გამორიცხვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას ან საქმიანობის დროებით შეჩერებას „გამორიცხვის პოლიტიკის“ შესაბამისად.

„გამორიცხვის პოლიტიკა“ ნიშნავს შემდეგ ქვემოთ მოცემულ სიტუაციას, რომელშიც შესაბამისი საწარმო შესაძლებელია რომ აღმოჩნდეს:

(i) გაკოტრებულია ან იმყოფება დაშლის პირას, მის საქმეებს მართავენ სასამართლოები, ამ კონტექსტში, გაფორმებული აქვს შეთანხმება კრედიტორებთან, შეჩერებული აქვს ბიზნესსაქმიანობა, წარმოადგენს სამართალწარმოების სუბიექტს აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, ან იმყოფება ნებისმიერ სხვა ანალოგიურ სიტუაციაში, რომელიც მომდინარეობს ეროვნული კანონმდებლობასა და რეგულაციებში განსაზღვრული მსგავსი პროცედურებიდან;

(ii) საწარმო ან პირები, რომლებსაც გააჩნიათ წარმომადგენლობის უფლებამოსილება, ასევე გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის უფლებამოსილება, ბრალდებულნი არიან დანაშაულში, რომელიც ეხება პროფესიონალურ ქცევას *კანონიერი ძალის მქონე* სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის კრედიტუნარიანობაზე;

(iii) საწარმო ან პირები, რომლებსაც გააჩნიათ წარმომადგენლობის უფლებამოსილება, ასევე გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის უფლებამოსილება, ექვემდებარებიან *კანონიერი ძალის მქონე* სასამართლო გადაწყვეტილებას თაღლითობის, კორუფციის, კრიმინალური ორგანიზაციის წევრობის გამო, ან ფულის გათეთრებაში ან ნებისმიერ სხვა უკანონო საქმიანობაში მონაწილეობის გამო, რაც აზიანებს ევროკავშირის ინტერესებს;

(iv) არასწორად წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა კლიენტის შერჩევის პროცესში, ან ვერ უზრუნველყოფს ასეთ ინფორმაციას; და

(v) მისი ინფორმირებულობის ფარგლებში, გონივრული გამოკითხვის ჩატარების შემდეგ, იგი შეეყვანა გამორიცხვის ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში, რომელიც შექმნილია და გამოიყენება ევროკომისიის 2008 წლის 17 დეკემბრის რეგულაციების (Ec, Euratom) No.1302/2008 გამორიცხვის ცენტრალურ მონაცემთა ბაზის შესახებ, ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ პუნქტები (ii) და (iii) არ ვრცელდება, თუ შესაბამისი საწარმო, ბანკისთვის მისაღები პირობებით, დაადგენს, რომ მიღებულია ადეკვატური ზომები იმ პირების წინააღმდეგ, რომლებსაც გააჩნიათ წარმომადგენლობის უფლებამოსილება, ასევე გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის უფლებამოსილება, ექვემდებარებიან სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს ან გადაწყვეტილებას, როგორც აღნიშნულია პუნქტებში (ii) და (iii).

„ტერორიზმის დაფინანსება“ ნიშნავს ნებისმიერი გზით, პირდაპირ ან ირიბად ფინანსური სახსრების ან სხვა ქონების შეგროვებას ან მიწოდებას იმის წინასწარი განზრახვით ან შეცნობით, რომ ისინი/იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ისეთი დანაშაულის ჩასადენად, რომლებსაც განსაზღვრავს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 15 მარტის დირექტივა (EU) 2017/541 ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოს 2002/475/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების შეცვლისა და საბჭოს 2005/671/JHA გადაწყვეტილების შესწორების შესახებ (შესწორებული, შეცვლილი ან დროდადრო ხელახლა ამოქმედებული).

„ILO“ - ნიშნავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას.

„ILO-ს სტანდარტები“ ნიშნავს ILO-ს ნებისმიერ საერთაშორისო შეთანხმებას, კონვენციას ან ხელშეკრულებას, რომლებიც ვრცელდება საქართველოზე და შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოსთვის, ასევე ნიშნავს შრომის ძირითად სტანდარტებს (როგორც განსაზღვრულია ILO-ს დეკლარაციაში შრომის სფეროში ფუძემდებლური პრინციპებისა და უფლებების შესახებ).

„სესხი“ ნიშნავს ბანკის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში დროდადრო გაცემულ საერთო თანხებს.

„ფულის გათეთრება“ ნიშნავს:

(i) ქონების გაყიდვას ან გადაცემას მფლობელის ნებართვის გარეშე, ან ქონების გადაცემას მიუხედავად ინფორმაციისა, რომ ასეთი ქონება მიღებულია კრიმინალური საქმიანობის ან ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის შედეგად, ქონების უკანონო წარმომავლობის დამალვის ან შენიღბვის მიზნით, ან ნებისმიერი იმ პირის დახმარების მიზნით, ვინც ჩართულია ასეთი საქმიანობის განხორციელებაში იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ასეთი საქმიანობის სამართლებრივი შედეგები;

(ii) ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილის, განლაგების, განკარგვის, გადაადგილების, ასევე ქონებასთან ან ფლობასთან დაკავშირებული უფლებების დამალვა ან შენიღბვა,

მიუხედავად ინფორმაციისა, რომ ასეთი ქონება მიღებულია კრიმინალური საქმიანობის ან ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის შედეგად;

(iii) ქონების შეძენა, ფლობა ან გამოყენება, მიუხედავად ინფორმაციისა, რომ ქონების მიღების მომენტისთვის, ასეთი ქონება მიღებულია კრიმინალური საქმიანობის ან ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის შედეგად; ან

(iv) ზემოთ მოცემულ პუნქტებში აღნიშნულ ნებისმიერ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, ან ამ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისთვის, ან მონაწილეობის მიღების მცდელობისთვის, ან მასში მონაწილეობაში დახმარებისთვის, ხელშეწყობისთვის და მონაწილეობის მისაღებად სათანადო კონსულტაციისთვის სხვა პირებთან კავშირი.

„**არათანამშრომლორი იურისდიქცია**“ ნიშნავს ნებისმიერ იურისდიქციას, რომელიც არ თანამშრომლობს ევროკავშირთან საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული საგადასახადო სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით (ანუ ნებისმიერი იურისდიქცია, რომელიც კლასიფიცირდება როგორც „შეუსაბამო“ იურისდიქცია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ და საგადასახო მიზნებისთვის ინფორმაციის გამჭვირვალობისა და გაცვლის შესახებ გლობალური ფორუმის მიერ, თუ სხვაგვარი მითითება არ იქნება გაცემული ბანკის მიერ).

„**შეუსაბამო იურისდიქცია**“ ნიშნავს იურისდიქციას, რომელიც:

(1) ჩამოთვლილია ევროპის საბჭოს დასკვნების I დანართში - საგადასახადო მიზნებისათვის ევროკავშირის არათანამშრომლორი იურისდიქციების შესწორებული ჩამონათვალი;

(2) გათვალისწინებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD/G20 იმ იურისდიქციათა ჩამონათვალში, რომლებმაც დამაკმაყოფილებლად არ შეასრულეს გადასახადების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული სტანდარტები;

(3) ჩამოთვლილია 2016 წლის 14 ივლისის კომისიის დელეგირებული რეგულაციის (EU) 2016/1675 დანართში, რომელიც ემატება ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივას (EU) 2015/849 სტრატეგიული ხარვეზების მქონე მაღალი რისკის მესამე ქვეყნების გამოვლენის შესახებ;

(4) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და საგადასახო მიზნებისთვის ინფორმაციის გამჭვირვალობისა და გაცვლის შესახებ გლობალური ფორუმის მიერ შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“, ან „შეუსაბამო“, შესაბამისი დროებითი შეფასებების ჩათვლით, მოთხოვნისამებრ, ინფორმაციის გაცვლის მიმართ მოქმედი საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე;

(5) შეყვანილია ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის განცხადებაში „მაღალი რისკის იურისდიქციები, რომელთა წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ღონისძიებებია მისაღები“; ან

(6) შეყვანილია ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის განცხადებაში „იურისდიქციები გაძლიერებული მონიტორინგის ქვეშ“.

„აკრძალული ქცევა“ ნიშნავს ტერორიზმის, ფულის გათეთრების ან აკრძალული პრაქტიკის ნებისმიერ დაფინანსებას.

„აკრძალული პრაქტიკა“ ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილს:

(a) იძულების პრაქტიკას, რაც ნიშნავს ზიანის ან ზარალის მიყენებას, ან ზიანის ან ზარალის მიყენების მუქარას, პირდაპირ თუ ირიბად, ნებისმიერი მხარისთვის ან ნებისმიერი მხარის ქონებისთვის, ამ მხარის მოქმედებაზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით;

(b) შეთქმულების პრაქტიკას, რომელიც ნიშნავს მოლაპარაკებას ორ ან მეტ მხარეს შორის, რომლის მიზანია არასათანადო მიზნის მიღწევა, მათ შორის არასათანადო ზემოქმედება მეორე მხარის მოქმედებებზე;

(c) კორუფციული პრაქტიკა, ნიშნავს ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის ნებისმიერი ღირებული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მის მიღებაში დახმარების გაწევას, მეორე მხარის მოქმედებებზე არასათანადო ზემოქმედების მიზნით;

(d) თაღლითური პრაქტიკა, ნიშნავს ნებისმიერ აქტს ან დაუდევრობას, მათ შორის არასწორად წარმოდგენას, რასაც გაცნობიერებულად თუ გაცნობიერების გარეშე მოტყუებაში შეჰყავს ან ცდილობს მოტყუებაში შეიყვანოს მეორე მხარე მისგან ფინანსური (მათ შორის, ყოველგვარი ეჭვის აღმოფხვრის მიზნით, გადასახადებთან დაკავშირებული) ინფორმაციის ან სხვა სახის სარგებლის მისაღებად, ან ვალდებულების შესრულებისთვის თავის ასარიდებლად; ან

შემაფერხებელი პრაქტიკა, იძულების, შეთქმულების, კორუფციის ან თაღლითური პრაქტიკების გამოძიებასთან მიმართებაში წინამდებარე სესხთან ან ქვე-პროექტებთან დაკავშირებით, ნიშნავს (a) გამოძიების სამხილების განადგურებას, გაყალბებას, შეცვლას ან დამალვას, ან არასწორი ჩვენებების მიცემას გამომძიებლებისთვის, რომლის მიზანია გამოძიებისთვის ხელის შეშლა; (b) ნებისმიერი მხარის მუქარა, შევიწროება ან დაშინება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის გამხელა ან ხელი შეეშალოს გამოძიების პროცესს; ან (c) მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის მიერ აუდიტის ან ინსპექტირების ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სახელშეკრულებო უფლებების გამოყენების შეფერხებას;

(f) საგადასახადო დანაშაული, გულისხმობს ყველა დანაშაულს, მათ შორის პირდაპირ გადასახადებთან და არაპირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებულ საგადასახადო დანაშაულებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით და რომლებიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან დაპატიმრების ორდერით ერთ წელზე მეტი ვადით; ან

(g) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ჯგუფის რესურსებისა და აქტივების ბოროტად გამოყენება, რაც გულისხმობს ნებისმიერ უკანონო ქმედებას, რომელიც ჩადენილია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ჯგუფის რესურსების ან აქტივების (მათ

შორის, ამ ხელშეკრულებით გაცემული თანხების) შეგნებულად ან დაუდევრად გამოყენებისას.

„პროექტი“ ნიშნავს იმ ღონისძიებების კომბინაციას, რისთვისაც იქნა გაცემული სესხი.

„სანქცირებული პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს ან საწარმოს (ექვსის თავიდან აცილების მიზნით, ტერმინი საწარმო მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ნებისმიერი მთავრობა, ჯგუფი ან ტერორისტული ორგანიზაცია), რომელიც წარმოადგენს სანქციებისთვის გამოყოფილ სამიზნეს, ან სხვაგვარად ექვემდებარება ამ სანქციებს.

„სანქციები“ ნიშნავს ეკონომიკური ან ფინანსური სანქციების შესახებ კანონმდებლობას, რეგულაციებს, სავაჭრო ემბარგოს ან სხვა შემზღვეველ ღონისძიებებს (რომელიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული ღონისძიებები), რომელიც დროთა განმავლობაში იქნა მიღებული, გამოყენებული, განხორციელებული და/ან აღსრულებული რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი პირის მიერ:

- (a) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ნებისმიერი სააგენტო ან პირი, რომელიც სათანადოდ არის დანიშნული ან უფლებამოსილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, განახორციელოს, გამოიყენოს, აამოქმედოს და/ან აღასრულოს ასეთი ღონისძიებები;
- (b) ევროკავშირი და ნებისმიერი სააგენტო ან პირი, რომელიც სათანადოდ არის დანიშნული ან უფლებამოსილი ევროკავშირის მიერ, განახორციელოს, გამოიყენოს, აამოქმედოს და/ან აღასრულოს ასეთი ღონისძიებები;
- (c) ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და მისი ნებისმიერი დეპარტამენტი, განყოფილება, სააგენტო ან სამსახური, მათ შორის, შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის უცხოური აქტივების მართვის განყოფილება (OFAC), შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და/ან შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტი.

„სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონი“, ნიშნავს ყველა შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილს:

- (a) ნებისმიერ კანონს, წესს ან რეგულაციას, რომელიც მოქმედებს საქართველოში და შეეხება სოციალურ საკითხებს;
- (b) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ნებისმიერ სტანდარტებს;
- (c) ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს ნებისმიერ საერთაშორისო შეთანხმებებს, კონვენციებს ან კონტრაქტებს, რომლებიც ხელმოწერილია და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ, ან სხვაგვარად ვრცელდება საქართველოზე და სავალდებულოდ შესასრულებელია საქართველოსთვის.

„კლიენტის მართვა“ კლიენტი იღებს ვალდებულებას გონივრულ ვადებში მიიღოს შესაბამისი ზომები მისი მართვის ორგანოების ნებისმიერი წევრის მიმართ, რომელიც:

- (i) გახდება სანქცირებული პირი; ან
- (ii) არის აკრძალულ ქცევასთან დაკავშირებით სასამართლოს საბოლოო და შეუქცევადი გადაწყვეტილების საგანი, რომელიც ჩადენილია მათი პროფესიული მოვალეობების

შესრულებისას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ასეთი წევრის უფლებამოსილების შეჩერება, გათავისუფლება ან ნებისმიერ შემთხვევაში, კლიენტის სესხთან და პროექტთან დაკავშირებული საქმიანობიდან გარიცხვა.

1. ევროპის საინვესტიციო ბანკის მონაწილეობა

1.1. ბანკი აქვე აცნობებს კლიენტს, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული დაფინანსება უზრუნველყოფილია ევროპის საინვესტიციო ბანკის (შემდგომში „EIB“) მხარდაჭერით.

2. ზოგადი წარმომადგენლობები და გარანტიები

2.1. კლიენტი ბანკისთვის წარმოადგენს და უზრუნველყოფს გარანტიას, რომ:

(a) რამდენადაც მისთვის ცნობილია, პროექტში ჩადებული ფინანსური სახსრები არ არის უკანონო წარმოშობის, არ არის დაკავშირებული ფულის გათეთრების პროდუქტებთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან.

(b) პროექტთან დაკავშირებით ბანკისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი ნამდვილი და სწორია.

(c) არ ყოფილა გამორიცხვის სიტუაცია ნებისმიერ დროს ხუთი (5) წლის განმავლობაში მანამ, სანამ მოხდებოდა ბანკის მიერ მათი შეფასება სესხის დაფინანსების მიზნებისთვის.

(d) იგი არ არის შეყვანილი არათანამშრომლური იურისდიქციების ნუსხაში.

(e) წინასწარ გადაიხდის სესხს ამ დანართში მოცემული რომელიმე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ამ დანართში მითითებული ნებისმიერი წარმომადგენლობა ან გარანტია არის ან აღმოჩნდება არასწორი.

3. კლიენტის ვალდებულებები

3.1. ოპერატიულად მიაწოდოს ბანკს ან ევროპის საინვესტიციო ბანკს (საკუთარი ან ევროკომისიის სახელით) ნებისმიერი დოკუმენტი ან ანგარიში, რომელიც მოითხოვს ბანკმა და/ან ევროპის საინვესტიციო ბანკმა სესხთან და/ან პროექტთან დაკავშირებით.

3.2. კლიენტი არ უნდა (i) შევიდეს საქმიან ურთიერთობაში რომელიმე სანქცირებულ პირთან, ან (ii) რაიმე სახსრები ხელმისაწვდომი არ უნდა გახადოს, პირდაპირ ან ირიბად, სანქცირებული პირისთვის, ან არ უნდა გამოიყენოს მის სასარგებლოდ.

3.3. გამოიყენოს სესხი ექსკლუზიურად პროექტის დასრულების ან განხორციელებისთვის, სესხის მიზნობრიობის შესაბამისად.

3.4. განახორციელოს და ექსპლუატაციაში გაუშვას პროექტი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვით; მიიღოს, შეინარჩუნოს და დაიცვას მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალური ნებართვები; და როგორც შემთხვევა მოითხოვს, საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისად და ბანკის მოთხოვნისთანავე, მიაწოდოს დამამტკიცებელი საბუთები აღნიშნული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით.

3.5. წარმოადგინოს, რამდენადაც მისთვის ეს ცნობილია და რამდენადაც ამის სჯერა (სათანადო და დეტალური გამოკითხვის საფუძველზე), რომ არანაირი არსებითი

გარემოსდაცვითი ან სოციალური პრეტენზია არ არის წამოყენებული ან არსებობს ასეთი პრეტენზიის წაყენების მუქარა.

3.6. მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია შემდეგზე:

- a) ნებისმიერი მესამე მხარის მიერ წამოწყებული რაიმე მოქმედება ან პროტესტი, ან რაიმე რეალური საჩივარი, რომელიც მიღებულია კლიენტის მიერ, ან ნებისმიერ გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სარჩელი, რომელიც, როგორც ცნობილია, დაწყებულია, მიმდინარეობს ან არსებობს მის წინააღმდეგ ასეთი სარჩელის ინიცირების საფრთხე;
- b) კლიენტისთვის ცნობილი ნებისმიერი ფაქტი ან მოვლენა, რომელმაც შეიძლება არსებითად ზიანი მიაყენოს ან გავლენა მოახდინოს პროექტის განხორციელების ან ექსპლუატაციის პირობებზე;
- c) კლიენტის მიერ ნებისმიერი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ნებისმიერი შეუსრულებლობა;
- d) ნებისმიერი გარემოსდაცვითი ან სოციალური ნებართვის ნებისმიერი შეჩერება, გაუქმება ან მოდიფიცირება;

3.7. ყველა იმ სამუშაოსა და ქონების დაზღვევის სათანადო უზრუნველყოფა, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას და წარმოადგენს პროექტის ნაწილს.

3.8. ძალაში შეინარჩუნოს სხვის ტერიტორიაზე გავლის უფლება ან გამოყენების უფლება და ყველა ნებართვა და ავტორიზაცია, რომელიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და მისი ექსპლუატაციისთვის და დაიცვას ყველა კანონი, რომელსაც იგი ან პროექტი ექვემდებარება.

3.9. სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვოს ყველა სახსრების გამოყოფა ბანკიდან და განხორციელოს ყველა ანგარიშსწორება ბანკისთვის, კლიენტის სახელზე არსებული საბანკო ანგარიშის მეშვეობით, რომელიც მას გახსნილი აქვს სათანადოდ უფლებამოსილ და სათანადოდ რეგულირებულ ფინანსურ დაწესებულებაში იმ იურისდიქციაში, სადაც დაფუძნებულია კლიენტი ან სადაც კლიენტს აქვს მისი საცხოვრებელი ადგილი, ან სადაც დაფუძნებულია პროექტი ან სადაც არის პროექტის განხორციელების ადგილი ან სადაც პროექტი ხორციელდება ასეთი კლიენტის მიერ.

3.10. შეინარჩუნოს, შეაკეთოს, შეარემონტოს ყველა ის ქონება, რაც წარმოადგენს პროექტის ნაწილს და როგორც მოითხოვება იმისათვის, რომ ქონება შენარჩუნებულ იქნეს კარგ სამუშაო მდგომარეობაში.

3.11. შეისყიდოს პროექტთან დაკავშირებული ყველა სამუშაო, საქონელი და მომსახურება შესყიდვების მისაღები პროცედურებით, ევროპის საინვესტიციო ბანკისთვის მისაღები პირობებით და მისივე პოლიტიკის შესაბამისად, როგორც ეს აღწერილია სახელმძღვანელოში შესყიდვების წარმოების შესახებ.

3.12. საჭიროების შემთხვევაში, შეიძინოს საქონელი, აღჭურვილობა, უსაფრთხო მომსახურება და შეუკვეთოს სამუშაოები თითოეული პროექტისთვის ღია საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, ან შესყიდვების სხვა მისაღები პროცედურების შესაბამისად, რომლებიც, ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი პირობებით, შეესაბამება მის

პოლიტიკას, რომელიც აღწერილია სახელმძღვანელოში შესყიდვების წარმოების შესახებ, რაც ძალაშია ამ კონტრაქტის თარიღისთვის.

3.13. უზრუნველყოს, რომ პროექტის ფარგლებში შესაძენი ყველა კონტრაქტი ამ კონტრაქტის თარიღის შემდეგ (ზემოთ პუნქტში 3.9 მოცემული შესყიდვების პროცედურების შესაბამისად) ითვალისწინებდეს შემდეგს:

- (i) მოთხოვნა, რომ შესაბამისმა კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ჭეშმარიტი ბრალდებების, საჩივრის ან ინფორმაციის შესახებ პროექტთან დაკავშირებულ აკრძალულ ქმედებებთან დაკავშირებით;
- (ii) მოთხოვნა, რომ შესაბამისმა კონტრაქტორმა აწარმოოს პროექტთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ტრანზაქციისა და გასავლების ბუღალტრული აღრიცხვა და ჩანაწერები; და
- (iii) ბანკის უფლება, სავარაუდო აკრძალულ ქმედებასთან დაკავშირებით, გადახედოს შესაბამისი კონტრაქტორის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ჩანაწერებს პროექტთან დაკავშირებით და გადაიღოს შესაბამისი დოკუმენტების ასლები კანონით ნებადართულ ფარგლებში.

3.14. კლიენტი, სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, იღებს ვალდებულებას განახორციელოს შემდეგი:

პროფესიული კეთილსინდისიერება:

- (i) არ ჩაერთოს (და არ მისცეს უფლება ან მისცეს უფლება რომელიმე შვილობილ კომპანიას ან მისი სახელით მოქმედ სხვა პირს ჩაერთოს) პროექტთან დაკავშირებულ რაიმე აკრძალულ მოქმედებაში, სატენდერო პროცედურაში ან სესხის ხელშეკრულებით ან პროექტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერ გარიგებაში;
- (ii) დაუყოვნებლივ აუწყოს ბანკს რეალური ბრალდებების, საჩივრის ან ინფორმაციის შესახებ სესხთან ან პროექტთან დაკავშირებული აკრძალული მოქმედების შესახებ და განახორციელოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ბანკმა შეიძლება გონივრულად მოითხოვოს რაიმე სავარაუდო ან საექვო აკრძალული მოქმედების გამოძიების ან მისი შეწყვეტისთვის;
- (iii) გამოიძიოს ან შეწყვიტოს რაიმე აკრძალული მოქმედების რაიმე საექვო ან სავარაუდო შემთხვევა პროექტთან დაკავშირებით;

(iv) დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები მის მიმართ ან მისი მმართველი ორგანოს რომელიმე წევრის ან მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც (A) ხდება სანქცირებული პირი ან (B) არის სასამართლოს საბოლოო და შეუქცევადი გადაწყვეტილების საგანი აკრძალულ მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩადენილია პროფესიული მოვალეობების განხორციელებისას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეჩერდეს, დათხოვნილ იქნეს ან ნებისმიერ შემთხვევაში გამოირიცხოს ნებისმიერი საქმიანობიდან ბანკის მიერ სესხის ხელშეკრულებით ან პროექტთან მიმართებაში გამოყოფილ ნებისმიერ სახსრებთან დაკავშირებით;

(v) დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს კლიენტის მიერ წინამდებარე პროფესიული კეთილსინდისიერების დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ღონისძიების შესახებ;

(vi) იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, კანონით ნებადართულ ფარგლებში, სასამართლოს, ადმინისტრაციის ან მსგავსი საჯარო ხელისუფლების ორგანოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი მატერიალური სამართალწარმოების, არბიტრაჟის, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ან გამოძიების შესახებ, რომელიც, რადენადაც მისთვის ცნობილია და რამდენადაც მას სჯერა, არის მოქმედი, გარდაუვალი ან მიმდინარე კლიენტის ან მისი მაკონტროლებელი პირების ან კლიენტის მმართველი ორგანოების წევრების წინააღმდეგ სესხთან ან პროექტთან დაკავშირებულ აკრძალულ მოქმედებასთან დაკავშირებით;

(vii) იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ბანკს დამატებითი ინფორმაცია, მტკიცებულება ან დოკუმენტი ბანკის სამართლებრივი და ფინანსური მდგომარეობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეასრულოს „იციოდე შენს კლიენტს“ (KYC) პოლიტიკა ან მსგავსი საიდენტიფიკაციო პროცედურები, მოთხოვნის შემთხვევაში და გონივრული დროის ფარგლებში;

(viii) წარმოადგინოს და უზრუნველყოს გარანტია, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია (სათანადო და დეტალური გამოკითხვის შემდეგ) პროექტში ჩადებული სახსრები არ არის უკანონო წარმოშობის, მათ შორის ფულის გათეთრების პროდუქტებთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული და დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, თუ ნებისმიერ დროს მისთვის ცნობილი გახდება ნებისმიერი ასეთი სახსრების უკანონო წარმოშობის შესახებ;

(ix) წარმოადგინოს და უზრუნველყოს გარანტია, რომ არც კლიენტს და არც კლიენტის რომელიმე შესაბამის პირს არ ჩაუდენია (i) რაიმე აკრძალული საქციელი ქვე-პროექტთან ან ქვე-დაფინანსების დოკუმენტში გათვალისწინებული რაიმე ტრანსაქციასთან დაკავშირებით; ან (ii) ნებისმიერი უკანონო საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ტერორიზმის დაფინანსებასთან ან ფულის გათეთრებასთან;

(x) წარმოადგინოს და უზრუნველყოს გარანტია, რომ პროექტი (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, მოლაპარაკებები, კონტრაქტების გაფორმება და კონტრაქტების შესრულება, რომლებიც დაფინანსებულია ან უნდა დაფინანსდეს სესხით) არ ჩართულა რაიმე აკრძალულ მოქმედებაში ან წარმოშობილა აკრძალულ მოქმედებაში ჩართვის საფუძველი;

(xi) წარმოადგენს და იძლევა გარანტიას, რომ არც კლიენტი და, რამდენადაც მისთვის ცნობილია, კლიენტის არცერთი შესაბამისი პირი არ არის სანქცირებული პირი ან არ არღვევს რომელიმე სანქციას;

(xii) პირდაპირ ან ირიბად:

(1) სესხის ხელშეკრულებასთან ან პროექტთან დაკავშირებით, არ აწარმოოს ბიზნესი ან შევიდეს საქმიან ურთიერთობაში ნებისმიერ სანქცირებულ პირთან, ან მოიხილოს ფულადი სახსრები სანქცირებული პირისთვის ან/და გახადოს ეკონომიკური რესურსები ხელმისაწვდომი ასეთი პირისთვის ან მის სასარგებლოდ, ან

(2) არ გამოიყენოს სესხის ხელშეკრულებიდან მიღებული შემოსავალი ან მისი ნაწილი ან გასცეს სესხი, შეიტანოს ან სხვაგვარად გახადოს ხელმისაწვდომი ასეთი შემოსავლები ნებისმიერი პირისთვის, თითოეულ ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სახით, რაც გამოიწვევს მის მიერ ან კლიენტის მიერ მოქმედი სანქციების დარღვევას;

(3) არ დააფინანსოს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდის მთელი მოცულობა ან მისი მხოლოდ ნაწილი შემოსავლებიდან, რომლებიც მიღებულია სანქცირებული პირის საქმიანობიდან ან ბიზნესიდან, ან სანქციების დამრღვევი პირის საქმიანობიდან ან რომლებიც მიღებულია ნებისმიერი გზით, რომელიც გამოიწვევს კლიენტის მიერ სანქციების დარღვევას;

(xiii) დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ნებისმიერი ფაქტის ან მოვლენის შესახებ, რომელიც იწვევს (A) მისი მმართველი ორგანოს რომელიმე წევრის ან (B) მისი რომელიმე მაკონტროლებელი სუბიექტის სანქცირებული პირად გამოცხადებას;

(xiv) უზრუნველყოს, რომ სესხის არც ერთი ხელშეკრულება არ აფინანსებდეს არცერთ სუბიექტს, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს გადაწყვეტილების მიმღები მისი რომელიმე ორგანო ან წევრი ან მისი პერსონალის წევრები, რომლებიც მონაწილეობენ შესაბამისი საკრედიტო გადაწყვეტილების მიღებაში, ან ახლო მოკავშირეები ან აღნიშნულის ოჯახის წევრები;

(xv) უზრუნველყოს, რომ სესხის ხელშეკრულებით დაფინანსებული კონტრაქტები მოიცავდეს აუცილებელ დებულებებს, რათა კლიენტმა შეძლოს გამოიძიოს ან შეწყვიტოს ქვე-პროექტთან დაკავშირებით რაიმე სავარაუდო ან საეჭვო აკრძალული საქციელი.

3.15. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი დარღვევის შესახებ;

3.16. ბანკის მოთხოვნით, უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია პროექტსა და კლიენტთან დაკავშირებით.

3.17. ყველა ასპექტში დაიცვას ყველა კანონი და რეგულაცია, რომელსაც ექვემდებარება იგი ან სესხი.

3.18. ყველა ასპექტში დაიცვას შესაბამისი სტანდარტები და მოქმედი კანონმდებლობა საგადასახადო თაღლითობის თავიდან აცილების შესახებ, რომელსაც ის შეიძლება დაექვემდებაროს.

3.19. კლიენტისთვის ცნობილია იმ ფინანსური სარგებლების შესახებ, რომლებსაც იღებს

(i) ევროპის საინვესტიციო ბანკის მონაწილეობით:

ევროპის საინვესტიციო ბანკი, რომელიც არის ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც შექმნილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 309-ე მუხლის საფუძველზე, მონაწილეობს ადგილობრივ ფინანსურ დაწესებულებებთან ერთად საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებაში, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მიზნების ნაწილს. წინამდებარე სესხი აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებასთან მიმართებით. ევროპის საინვესტიციო ბანკი ანიჭებს ფინანსურ უპირატესობას ბანკს, რომელიც აისახება საპროცენტო განაკვეთზე. ასეთი ფინანსური უპირატესობა შეადგენს 0,25%-ს (25 საბაზისო პუნქტს) წელიწადში („ფინანსური უპირატესობა“) იმ წლიურ საპროცენტო განაკვეთთან შედარებით, რომელსაც ბანკი დააწესებდა ამ სესხისთვის ევროპის საინვესტიციო ბანკის მონაწილეობის გარეშე“;

(ii) ევროკავშირის მხარდაჭერა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) აღმოსავლეთის ინიციატივის საფუძველზე:

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ სს კრედო ბანკისთვის დაფინანსება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის მეშვეობით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) აღმოსავლეთის ინიციატივის ფარგლებში.

3.20. ვიზიტები EIB-ის მიერ, წვდომის უფლება და მოკვლევა

(a) კანონით ნებადართულ ფარგლებში, კლიენტი ვალდებულია ნება დართოს ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დანიშნულ ნებისმიერ პირებს, ასევე იმ პირებს, რომლებიც დანიშნულია ევროკავშირის კომპეტენტური დაწესებულებების მიერ (შეზღუდვის გარეშე), მათ შორის ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს, ევროპული კომისიის და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის ოფისის მიერ, და ზემოთ აღნიშნული დაწესებულებების მიერ ავტორიზებულ ნებისმიერ აუდიტორს:

(i) განახორციელოს ვიზიტი ობიექტზე, პროექტთან დაკავშირებულ სამუშაო და სამონტაჟო ობიექტებზე და კლიენტის შენობა-ნაგებობებში და ჩაატაროს ისეთი შემოწმება,

რომელსაც იგი შესაფერისად მიიჩნევს წინამდებარე სესხთან და პროექტთან დაკავშირებით;

(ii) გამოკითხოს კლიენტის წარმომადგენლები და დაბრკოლება არ შეუქმნას კონტრაქტებს სხვა პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტში ან ექცევიან პროექტის განხორციელების გავლენის ქვეშ;

(iii) განიხილოს კლიენტის საბუღალტრო აღრიცხვების და ჩანაწერების სისწორე პროექტთან ან სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან რაიმე სავარაუდო აკრძალულ მოქმედებასთან დაკავშირებით, ხოლო კანონით დაშვებულ ფარგლებში გადაიღოს დაკავშირებული დოკუმენტების ასლები; და

(iv) ხელი შეუწყოს ბანკის ან ევროკავშირის სხვა კომპეტენტური დაწესებულების ან ორგანოს მიერ ჩატარებულ მოკვლევას ნებისმიერ შესაძლო ან საექვო ფაქტთან ან მოვლენასთან დაკავშირებით აკრძალულ ქმედებასთან ან რაიმე სანქციის დარღვევასთან მიმართებით და მიაწოდოს ბანკს, ან უზრუნველყოს, რომ ბანკს მიეწოდოს, ყველა საჭირო დახმარება ამ დამატებით პირობებში აღწერილი მიზნებისთვის;

(b) კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სესხით დაფინანსებული კონტრაქტები შეიცავდეს აუცილებელ დებულებებს, რათა კლიენტს მიეცეს საშუალება გამოიძიოს ან შეწყვიტოს აკრძალული ქცევის ნებისმიერი სავარაუდო ან საექვო შემთხვევა ნებისმიერ პროექტთან დაკავშირებით;

(c) კლიენტი აღიარებს, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკს შეიძლება დაევალოს გადასცეს ინფორმაცია კლიენტთან და პროექტთან დაკავშირებით ევროკავშირის ნებისმიერ კომპეტენტურ დაწესებულებას ან ორგანოს, მათ შორის ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს, ევროპულ კომისიას, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ ოფისს და ევროპის სახელმწიფო პროკურატურას, რაც აუცილებელია დავალების შესრულებისთვის ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად, და ასევე ევროკავშირის კანონმდებლობის სავალდებულო დებულებების შესაბამისად.

4. პუბლიკაცია

a. ბანკი უფლებამოსილია გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდებზე ან გამოსცეს პრესრელიზები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას კლიენტის შესახებ ამ სესხთან დაკავშირებით. კლიენტი უფლებამოსილია წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ პუბლიკაციას იმ მიზეზებით, რომლებიც მოცემულია ამ ნაწილის დებულებებში.

b. მსესხებელი აქვე ადასტურებს, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკი უფლებამოსილია გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდებზე, ან პრესის საშუალებით გამოსცეს ინფორმაცია კლიენტის შესახებ, მათ შორის, (x) კლიენტის სახელი, გვარი და მისამართი, ასევე თანხა ევროში, და (y) კლიენტის სახელი, გვარი, მისამართი და რეგისტრაციის ქვეყანა, ასევე მიღებული ფინანსური დახმარების ტიპი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(1) კლიენტთან მიმართებით, თავდაპირველი ძირითადი სესხის თანხა არ აჭარბებს 15,000 ევროს, ან (y) სესხის პირობების მიხედვით ფინანსური დახმარების მიღებამდე, კლიენტი

მიაწვდის ინფორმაციას ბანკს წერილობითი ფორმით, ადეკვატური დასაბუთების საფუძველზე, რომ:

- a) პუბლიკაციის მოთხოვნები საფრთხეს უქმნის მის კომერციულ ინტერესებს;
- b) საფრთხეს უქმნის შესაბამისი პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც დაცულია ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიით; ან
- c) ეს უკანონოა ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

c. მე-4 მუხლში მითითებული ინფორმაცია შეიძლება გამოქვეყნდეს და გამოიცეს და კლიენტს უფლება აქვს შეეწინააღმდეგოს გამოქვეყნებას ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო.